

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

### ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ

#### 1) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ:

##### ა) პროექტის მიღების მიზეზი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციონირებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევის გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას წარმოადგენს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებას საფუძვლად დაედო „საქართველოს კონსტიტუცია“ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ გადასახდელებისა და მოსაკრებლების თაობაზე საქართველოს კანონმდებლობა, აგრეთვე მუნიციპალიტეტების პრიორიტეტების დოკუმენტი.

2017 წლისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტებად განისაზღვრება :

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა
- გარემოს დაცვა
- განათლება
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

##### ბ) პროექტის მიზანი

2017 წლის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური ნუსხის დამტკიცება;

##### გ) პროექტის ძირითადი არსი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების და გადასახდელების ნუსხის დამტკიცება.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა გათვალისწინებით 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილია საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8

ივლისის №385 ბრძანების შესაბამისად ბიუჯეტის პროექტი მომზადებულ იქნა პროგრამული ფორმატით.

უნდა არინიშნოს, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 322 (მ.შ. სამხედრო სამსახური 13), ხოლო მუნიციპალიტეტის საკრებულოში 49, რაც შეესაბამება გასული წლის მაჩვენებელს და განსაზღვრულია „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად.

### **პირითადი მაჩვენებლები**

2017 წლის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას მხედველობაში იქნა მიღებული ქალაქის ეკონომიკური განვითარების განვლილი პერიოდის მიმდინარე და მომავალი წლებისათვის არსებული პროგნოზები და გეგმები.

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსავლების მაჩვენებელი 48472,8 ათასი ლარით განისაზღვრა, რაც მიმდინარე წლის დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმიურ მაჩვენებელზე 1275,3 ათასი ლარით მეტია.**

**2017 წელს ბიუჯეტის გადასახადების მაჩვენებელი 18700,0 ათასი ლარით განისაზღვრა.** გადასახადების მაჩვენებლების გაანგარიშებისას მხედველობაში იქნა მიღებული მიმდინარე წელს არსებული ტენდენციები, საგადასახადო პოლიტიკა, ადმინისტრირების დონის გაუმჯობესება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომართვა. გადასახადების მაჩვენებლები ცალკეული გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

#### **ქონების გადასახადი, მათ შორის:**

- 1) საშემოსავლო გადასახადი 8000,0 ათასი ლარი;
- 2) საქართველოს საწარმოთა ქონებაზე(გარდა მიწისა) 9120,0 ათასი ლარი;
- 3) უცხოურ საწარმოთა ქონებაზე(გარდა მიწისა) 50,0 ათასი ლარი;
- 4) ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) 280,0 ათასი ლარი;
- 5) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე მიღებული ქონების გადასახადი 1245,0 ათასი ლარი.
- 6) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე მიღებული ქონების გადასახადი 5,0 ათასი ლარი.

2017 წლისათვის **გრანტების** გეგმიური მაჩვენებელი განისაზღვრა 19798,0 ათასი ლარით, მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი 19578,0 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი 220,0 ათასი ლარი.

2017 წლისათვის ბიუჯეტის **სხვა შემოსავლების** მაჩვენებელი განისაზღვრა 9974,8 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის:

**დივიდენდებიდან** მისაღები შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 60,0 ათასი ლარით;

**საკუთრებიდან** მისაღები შემოსავლების, კერძოდ რენტის მაჩვენებელი განისაზღვრა 250,0 ათასი ლარის ოდენობით.

**საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან** მისაღები შემოსავლები განისაზღვრა 4910,0 ათასი ლარის ოდენობით. აქედან,

– ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით მისაღები შემოსავლები შეადგენს 4110,0 ათას ლარს.

– არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურების სახით მისაღები შემოსავლების მაჩვენებელი განისაზღვრა 800,0 ათასი ლარით.

**ჯარიმებით, სანქციებითა და საურავებით** მისაღები შემოსავლების მაჩვენებელი განისაზღვრა 2280,0 ათასი ლარის ოდენობით.

**შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების** მაჩვენებელი განისაზღვრა 2474,8 ათასი ლარის ოდენობით.

#### **წლის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები**

2017 წლის ბიუჯეტის ხარჯები შეადგენს 43008,4 ათას ლარს, მათ შორის:

შრომის ანაზღაურება - 4123,5 ათასი ლარი;

საქონელი და მომსახურება – 8118,4 ათასი ლარი;

პროცენტი – 30,0 ათასი ლარი;

სუბსიდიები – 25148,0 ათასი ლარი;

გრანტები - 70,0 ათასი ლარი;

სოციალური უზრუნველყოფა – 2909,2 ათასი ლარი

სხვა ხარჯები - 2609,3 ათასი ლარი.

#### **არაფინანსური აქტივების ცვლილება**

წარმოდგენილი პროექტით არაფინანსური აქტივების ზრდა შეადგენს 8114,4 ათას ლარს, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება – 3100,0 ათას ლარს.

#### **ვალდებულებების ცვლილება**

2017 წლისათვის ვალდებულებების კლება შეადგენს 450,0 ათას ლარს.

#### **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ასიგნებები**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ასიგნებები ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით შეადგენს 51572,8 ათას ლარს.

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს მნიშვნელოვანი რესურსების გამოყოფას სხვადასხვა სფეროებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

2) პროექტი არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

3) წარმოდგენილი პროექტის ძირითადი მონაცემები შეთანხმებული იქნა სამხარეო ადმინისტრაციასთან

4) წარმოდგენილი პროექტი მოწონებული იქნა ქალაქის აღმასრულებელ ხელისუფლებაში.

5) პროექტის ავტორია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური

6) პროექტის ინიციატორია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია.